პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ დეკემბერი, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, დ.თავდადებულის ქ. №61-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. №61-ში მდებარე 2755,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: 05.28.05.007).
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, დ.თავდადებულის ქ. №61-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 14 დეკემბრის #2614/02 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში შესულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 05 აგვისტოს #MES 9 20 0000663737 წერილი, რომლითაც დასმულია საკითხი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. N61-ში მდებარე, სსიპ კოლეჯი „ბლექსი“-ს (ს/ნ 245610398) სარგებლობაში არსებული 2755,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული 2377,60 კვმ შენობა-ნაგებობის (ს/კ 05.28.05.007) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, შემდგომში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს არამარტო მიმდებარე ტერიტორიის მცხოვრებთა პრობლემის გადაჭრას, არამედ მნიშვნელოვნად განტვირთავს მთლიანად ბათუმის სკოლებში არსებულ მდგომარეობას. სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ზემოთაღნიშნული უძრავი ქონების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაცემა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადასაცემად, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით და ითხოვა მისი ქ. ბათუმის მუნიციპალურ საკუთრებად აღრიცხვისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება. აღნიშნული ქონება იყო სახელმწიფოს საკუთრება და ზემოთაღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემის მიზნით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 01 დეკემბრის N1/1-3635 ბრძანებით საკუთრებაში გადმოეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს. შესაბამისად, იგი აღირიცხა მუნიციპალურ საკუთრებად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ქ. ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. #61-ში მდებარე 2755,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 05.28.05.007) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემას ახალი საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, ახალი საგანმანათლებლო სივრცის შექმნაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისადმი მხარდაჭერა და ხელშეწყობა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY
OF EDUCATION, CULTURE AND SPORT

MES 9 20 0000663737

05/08/2020

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ბატონო ჯაბა,

მოგეხსენებათ, ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 27 საჯარო სკოლა. ბოლო წლებში ბათუმის საჯარო სკოლებში საგრძნობლად იზრდება მოსწავლეთა რაოდენობა, მაგალითად 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბათუმის საჯარო სკოლებში ირიცხებოდა 20568 მოსწავლე, ხოლო დღევანდელი მდგომარეობით მოსწავლეთა რაოდენობა გაზრდილია 26517-მდე. ყოველწლიურად იზრდება პირველკლასელთა რაოდენობაც, კერძოდ, თუ 2012-2013 სასწავლო წელს პირველ კლასში ჩაირიცხა 1668 მოსწავლე, უკვე 2019-2020 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა რაოდენობამ შეადგინა 2768.

პირველკლასელთა რეგისტრაციის დროს, საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპისათვის ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ე.წ. "ძველ ბათუმში" მდებარე საჯარო სკოლებში რჩება ძალიან მცირე რაოდენობის ადგილები. ეს საკითხი ყოველწლიურად უფრო და უფრო პრობლემატური ხდება. 2020-2021 სასწავლო წლისათვის სკოლების მიერ პირველ კლასში მისაღებ მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 2728 მოსწავლით. საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპზე, ქალაქის ცენტრალური ნაწილის სკოლებში თავისუფალი ადგილები შეივსო პირველივე წუთებში. ამავე ეტაპზე ქალაქის 11 სკოლაში გამოინახა საშუალება დამატებით 14 პარალელური კლასის გასახსნელად და დაემატა 350 ადგილი, თუმცა არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. რეგისტრაციის მე-4 ეტაპზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობით, ქალაქის ცენტრალური ნაწილის სკოლების პირველ კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა გაიზრდება 28-29 მოსწავლემდე და დამატებით ემატება 216 ადგილი. აღნიშნულის გათვალისწინებით ბათუმის 27 საჯარო სკოლის პირველ კლასში მისაღებ მოსწავლეთა რაოდენობა გახდება 3294.

ნათელია, რომ პირველკლასელთა შესაძლო მისაღები რაოდენობა გაცილებით ნაკლებია რეგისტრაციის მსურველთა რაოდენობასთან მიმართებაში, რაც იწვევს მოსახლეობის დიდ

6015 ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. №4
ტელ./ფაქსი: 0422 245370
www. moecs.ge

№4 L. Gudiashvili street, Batumi 6015
Tel./Fax: +995 (422) 245370
www. moecs.ge

უკმაყოფილებას, განსაკუთრებით ამ სკოლებთან ახლოს მცხოვრები მშობლების მხრიდან. წლებია ქალაქის მაცხოვრებელთა მოთხოვნაა ცენტრალურ ნაწილში ახალი სკოლის მშენებლობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის მაცხოვრებელთათვის სკოლის ხელმისაწვდომობის კუთხით პრობლემების წარმოშობას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ 2010 და 2011 წლებში, ცენტრალურ უბნებში ორი საჯარო სკოლის შენობა დაინგრა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დავალებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან კონსულტაციის საფუძველზე, დარგის სპეციალისტებთან ერთად, აქტიურად ვეძებდით შესაბამის ტერიტორიას. ერთადერთი შესაძლებლობა ქალაქის ცენტრში, სადაც ახალი ქალაქმშენებლობითი რეგულაციების გათვალისწინებით, საკმარისი იქნება სივრცე სკოლის მშენებლობისთვის, არის კოლეჯ ,,ბლექსის" სარგებლობაში არსებული ქონება, მისამართი: ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. N 61; საკადასტრო კოდი: 05.28.05.007. კოლეჯი ,,ბლექსი" ფუნქციონირებს სხვა მისამართზე, ამასთან იგეგემება კოლეჯისათვის ახალი შენობის მშენებლობა ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქის ტერიტორიაზე. კოლეჯი ამ დროისათვის ფაქტობრივად ვერ სარგებლობს უძრავი ქონებით, რადგან შენობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, რაზედაც არსებობს ექსპერტიზის დასკვნა (იხ. დანართი). დასკვნის მიხედვით, შენობების დაზიანების მასშტაბების გათვალისწინებით მიზანშეწონილია მისი დემონტაჟი.

ამასთან, ახალი საგანმანათლებლო სივრცე ხელს შეუწყობს არამარტო მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა პრობლემის გადაჭრას, არამედ მნიშვნელოვანია მთლიანად ბათუმის სკოლებში არსებული მდგომარეობის განტვირთვისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გვიშუამდომლოთ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, ქალაქ ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. N61-ში (საკადასტრო კოდი: 05.28.05.007) მდებარე 2834 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (შენობა-ნაგებობებთან ერთად) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე, შემდგომში საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით.

პატივისცემით,

მაია ხაჯიშვილი
მ ი ნ ი ს ტ რ ი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

3082-01-01-10-2-202008170834

N 01-01-10/3082
17/08/2020

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

მოგახსენებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 05 აგვისტოს N MES 9 20 0000663737 წერილი, თანდართული დოკუმენტაციით, რომლითაც დასმულია საკითხი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. N61-ში მდებარე, სსიპ კოლეჯი „ბლექსის" (ს/ნ 245610398) სარგებლობაში არსებული 2755 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (წერილში მითითებულია 2834 კვ.მ.) და მასზე განლაგებული 2377.60 კვ.მ. საერთო ფართობის შენობა-ნაგებობების (ს/კ 05.28.05.007) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე, შემდგომში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს არამარტო მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა პრობლემის გადაჭრას, არამედ მნიშვნელოვანად განტვირთავს მთლიანად ბათუმის სკოლებში არსებულ მდგომარეობას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია განხორციელდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. N61-ში მდებარე 2755 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული 2377.60 კვ.მ. საერთო ფართობის შენობა-ნაგებობების (ს/კ 05.28.05.007) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადასაცემად, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, განახორციელოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, სახელმწიფო საკუთრებაში

არსებული, ქალაქ ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. N61-ში მდებარე ზემოაღნიშნული უძრავი ქონების (ს/კ 05.28.05.007) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადასაცემად, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსაცემად, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით.

დანართი: „43“ ფურცელი.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/16902
18/08/2020

16902-25-2-202008181729

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი დუგლაძეს

ასლი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

ბატონო გიორგი,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის 17 აგვისტოს N01- 01-10/3082 (N14462/25) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამინისტროში შესულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 05 აგვისტოს #MES 9 20 0000663737 წერილი (თანდართული დოკუმენტაციით), რომლითაც დასმულია საკითხი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. N61-ში მდებარე, სსიპ კოლეჯი „ბლექსი"-ს (ს/ნ 245610398) სარგებლობაში არსებული 2755 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (წერილში მითითებულია 2834 კვ.მ.) და მასზე განლაგებული 2377,60 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-ნაგებობის (ს/კ 05.28.05.007) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, შემდგომში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს არამარტო მიმდებარე ტერიტორიის მცხოვრებთა პრობლემის გადაჭრას, არამედ მნიშვნელოვნად განტვირთავს მთლიანად ბათუმის სკოლებში არსებულ მდგომარეობას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ზემოთაღნიშნული უძრავი ქონების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაცემა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადასაცემად, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით და ითხოვს მისი ქ. ბათუმის

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

მუნიციპალურ საკუთრებად აღრიცხვისათვის საჭირო პროცედურების განხორციელებას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადასაცემად, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოსცეთ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დ. თანდადებული ქ. N61-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 05.28.05.007).

დანართი: 42 ფურცელი.

პატივისცემით,

არჩილ ჩიქოვანი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

MES 9 20 0001092875

13/11/2020

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
საჯარო სექტორთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსს ბატონ დავით მიქაძეს

ასლი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

ბატონო დავით,

თქვენი, 2020 წლის 19 აგვისტოს №5/45203 წერილის (კოლეჯში კორესპონდენცია წარმოდგენილი იქნა დაგვიანებით - 2020 წლის 6 ნოემბერს) პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 13 ნოემბრის №MES 3 20 0001091456 წერილის (იხ. საფუძვლებში) საფუძველზე, სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი" არ არის წინააღმდეგი, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაეცეს ჩვენი დაწესებულების ბალანსზე რიცხული, ქალაქ ბათუმში, დ. თავდადებულის ქუჩა N61-ში მდებარე 2755.00 კვ.მ. არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05. 28. 05. 007).

პატივისცემით,

სსიპ - კოლეჯის "ბლექსი"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

MES 4 20 0001074140

06/11/2020

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს ქალბატონ თამარ ქიტიაშვილს

ასლები:
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს
ბატონ დავით მიქაძეს

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი" შემოსულია სახელმწიფო ქონების სააგენტოს 2020 წლის 19 აგვისტოს №5/45203 კორესპონდენცია (კოლეჯში კორესპონდენცია წარმოდგენილი იქნა დაგვიანებით - 2020 წლის 6 ნოემბერს), რის მიხედვითაც სააგენტო ითხოვს ჩვენი მოსაზრების წარდგენას ქ. ბათუმის მერიისათვის სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" ბალანსზე რიცხული (არსებობის ვადით მიღებული ქონება) ქალაქ ბათუმში, დ. თავდადებულის ქუჩა N61-ში მდებარე 2755.00 კვ.მ. არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05. 28. 05. 007) საკუთრებაში გადაცემის საკითხის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ ბათუმში, დ. თავდადებულის ქუჩა N61-ში მდებარე 2755.00 კვ.მ. არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05. 28. 05. 007), კოლეჯისათვის გადმოცემული იყო დაწესებულების ახალი შენობის მშენებლობისათვის.

ამ ეტაპზე, დაწესებულების ახალი შენობის მშენებლობა დაგეგმილია ქ. ბათუმში, განათლების ქალაქის მშენებლობის ფარგლებში. ამასთან, მიმდინარე ეტაპზე, კოლეჯი

მოცემულ შენობას არ იყენებს და არც მომავალში აქვს დაგეგმილი მისი რაიმე დანიშნულებით გამოყენება. გარდა იმ შემთხვევისა, თუ სამინისტრო არ გეგმავს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად რაიმე პროექტის განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გვაცნობოთ ქონების შემდგომი განკარგვის თაობაზე თქვენი გადაწყვეტილების შესახებ, რის მიხედვითაც მოხდება ჩვენი მოსაზრების წარდგენა სახელმწიფო ქონების სააგენტოსათვის.

პატივისცემით,

სსიპ - კოლეჯის "ბლექსი"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

KA021793373984920

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-3635 01 / დეკემბერი / 2020 წ.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემისშესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 113-ე მუხლის, „სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 391 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 18.08.2020წ. № 25/16902, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 17.08.2020წ. №01-01-10/3082, სსიპ კოლეჯი ,,ბლექსის" 13.11.2020წ. №MES 9 20 0001092875 წერილებისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტის 01.12.2020წ. № 119097, სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის 01.12.2020წ. N119295 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გადაეცეს საკუთრებაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით, ქალაქ ბათუმში, დ.თავდადებულის ქუჩა №61-ში მდებარე 2755 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა № 1 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 05.28.05.007).
2. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა № 2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღეს.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 2614/02 14 12 2020

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 5 აგვისტოს N MES 9 20 0000663737 კორესპონდენცია, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. N61-ში მდებარე 2755 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული N1 - 2377.60 კვ.მ. საერთო ფართობის შენობა-ნაგებობების (ს/კ 05.28.05.007) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე. შემდგომში, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით. აღნიშნულის შედეგად შეიქმნება ახალი საგანმანათლებლო სივრცე, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა პრობლემის გადაჭრას, არამედ მნიშვნელოვანია მთლიანად ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული მდგომარეობის განტვირთვისათვის.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2020 წლის 1 დეკემბრის N1/1-3635 ბრძანების შესაბამისად აღნიშნული უძრავი ქონება (ს/კ 05.28.05.007) საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზემოთ მითითებული ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემა. შემდგომში, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობისა და ახალი საგანმანათლებლო სივრცის შექმნის მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, აჭარის ავტონომიურ რესპუბ-ლიკას საკუთრებაში გადმოსცეთ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. N61-ში მდებარე 2755 კვ.მ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული N1 - 2377.60 კვ.მ. საერთო ფართობის შენობა-ნაგებობები (ს/კ 05.28.05.007).

დანართი: „ 44 " ფურცელზე.

პატივისცემით,

თორნიკე რიყვაძე

*||||||

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

№ 2614/02 «14» 12 2020

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 5 აგვისტოს N MES 9 20 0000663737 კორესპონდენცია, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. N61-ში მდებარე 2755 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული N1 - 2377.60 კვ.მ. საერთო ფართობის შენობა-ნაგებობების (ს/კ 05.28.05.007) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე. შემდგომში, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით. აღნიშნულის შედეგად შეიქმნება ახალი საგანმანათლებლო სივრცე, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა პრობლემის გადაჭრას, არამედ მნიშვნელოვანია მთლიანად ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული მდგომარეობის განტვირთვისათვის.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2020 წლის 1 დეკემბრის N1/1-3635 ბრძანების შესაბამისად აღნიშნული უძრავი ქონება (ს/კ 05.28.05.007) საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზემოთ მითითებული ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემა. შემდგომში, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობისა და ახალი საგანმანათლებლო სივრცის შექმნის მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, აჭარის ავტონომიურ რესპუბ-ლიკას საკუთრებაში გადმოსცეთ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. N61-ში მდებარე 2755 კვ.მ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული N1 - 2377.60 კვ.მ. საერთო ფართობის შენობა-ნაგებობები (ს/კ 05.28.05.007).

დანართი: „ 44 " ფურცელზე.

პატივისცემით,

თორნიკე რიჟვაძე